

პოსტ-თავადაზნაურთა სოციალური
ტრანსფორმაცია პოლონეთსა და
საქართველოში

სოციოლოგიური სემინარის მასალები

***The Social Transformation of Post-
Nobles in Poland and Georgia***

Sociological seminar materials

თბილისი
2015

*პოსტ-თავადაზნაურთა სოციალური
ტრანსფორმაცია პოლონეთსა და
საქართველოში*

*პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა
და სოციოლოგიის ინსტიტუტის და საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ
მეცნიერებათა განყოფილების დემოგრაფიის კომისიის*

*პირველი ერთობლივი სოციოლოგიური სემინარის
მასალები*

(ვ ა რ შ ა ვ ა 2 0 1 5)

***The social transformation of Post-
Nobles in Poland and Georgia***

***Institute of Philosophy and Sociology, Polish
Academy of Sciences, and Demographic Commission
of the Department of Social Sciences, the National
Academy of Georgia,***

Materials of the first joint sociological seminar

(Warsaw, 2015)

Tbilisi

2015

ნაშრომში წარმოდგენილია ქართველ და პოლონელ სოციოლოგთა პირველ ერთობლივ სემინარზე „პოსტ-თავადაზნაურთა სოციალური ტრანსფორმაცია პოლონეთსა და საქართველოში“ წაკითხული მოხსენებები.

ნაშრომი განკუთვნილია სოციოლოგების, დემოგრაფებისა და ამ საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

სარედაქციო კოლეგია: ა. სულაბერიძე
 ნ. გომელაური
 ი. ქუთათელაძე
 თ. ნამგალაშვილი

The given work includes the report of the first joint seminar on “Post-Nobles social transformation in Poland and Georgia” presented by Georgian and Polish sociologists.

The work is intended for sociologists, demographers and all persons interested in this issue.

Editorial Board: Sulaberidze A.
 Gomelauri N.
 Kutateladze I.
 Namgalashvili T.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარინა ხაჩატუროვა
IT Support: Marina Khachaturova

ISBN 978-9941-0-8480-5

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	4
პოლონეთის პოსტ-თავადაზნაურული გარემოს კვლევის შედეგების შესაძლო გამოყენება თანამედროვე ქართველი თავადაზნაურობის შესწავლისათვის	6
თავადაზნაურთა ტრანსფორმაციის თავისებურებანი საქართველოში	17
თავადაზნაურთა ტრანსფორმაცია მე-20 საუკუნის განმავლოში (საქართველოს კონტექსტი)	25
INTRODUCTION	35
THE POSSIBLE APPLICATION OF RESEARCH FINDINGS ON POLISH POST-NOBLE MILIEU FOR STUDYING CONTEMPORARY GEORGIAN NOBILITY	37
THE CHARACTERISTICS OF TRANSFORMATION OF NOBLEMEN IN GEORGIA.....	47
TRANSFORMATION OF NOBILITIES DURING THE 20TH OF CENTURY (GEORGIA’S CASE).....	53

წინასიტყვაობა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიებს შორის 2006 წლის 10 მაისს ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების დემოგრაფიის კომისიასა და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტებს შორის 2014 წლის დეკემბრიდან დაიწყო თანამშრომლობა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ოთარ კვესიტაძის გადაწყვეტილებით, მეცნიერული კონტაქტების დამყარების მიზნით ჩამოსულ, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის პროფესორ რაფალ სმოჩინსკისთან თანამშრომლობა დაევალა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების დემოგრაფიის კომისიის წევრს, პროფესორ ავთანდილ სულაბერიძეს. 2015 წლის ერთწლიანი პროგრამით გათვალისწინებულ იქნა საქართველოსა და პოლონეთის პოსტ-თავდაზნაურთა საზოგადოებაში ტრანსფორმაციის ერთობლივი სოციოლოგიური კვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე სოციოლოგიური სემინარის მოწყობა.

2014 წლის დეკემბერში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის სხდომაზე პროფესორ რ. სმოჩინსკის მოხსენებამ დაადასტურა, რომ პოლონეთის მხარეს ამ თვალსაზრისით საკმაო გამოცდილება გააჩნდა, ხოლო ქართველი სოციოლოგებისთვის ეს საკითხი სიახლეს წარმოადგენდა.

პროფესორ რ. სმოჩინსკის და პროფესორ ავთანდილ სულაბერიძის ერთობლივად შემუშავებული სოციოლოგიური კითხვარით, კვლევა ჩაატარეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა: ნინო გომელაურმა (ჯგუფის ხელმძღვანელი), ნათია შუშტაკაშვილმა, მარიამ სულაბერიძემ და ნინო ქურდაძემ.

პოლონელ და ქართველ სოციოლოგთა ერთობლივი ერთწლიანი თანამშრომლობა, მოუხედავად დროის სიმცირისა და ფინანსური პრობლემებისა, ნაყოფიერი აღმოჩნდა, რაც მომავალი მეცნიერული თამანშრომლობის საწინდარია. ამაზე მეტყველებს, 2015 წლის ოქტომბერში, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტში კვლევის შედეგების საფუძველზე ჩატარებული ქართველ და პოლონელ სოციოლოგთა პირველ სოციოლოგიურ სემინარზე წარდგენილი მოხსენებები, რომლებსაც გათავაზობთ ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური) და მათი შეფასება თქვენთვის მოგვიწერეთ.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილების ხელმძღვანელი
აკადემიკოსი

როინ მეტრეველი

რაფალ სმოჩინსკი ტომას ზარიცკი

პოლონეთის პოსტ-თავადაზნაურული გარემოს კვლევის შედეგების შესაძლო გამოყენება თანამედროვე ქართველი თავად-აზნაურობის შესწავლისათვის

შესავალი

სტატიაში განხილულია პოლონური პოსტ-თავადაზნაურული გარემოს მიმდინარე კვლევის შედეგები და მათი შესაძლო გამოყენება თანამედროვე ქართველ თავად-აზნაურთა შთამომავლობის შესწავლისათვის. იგი მოიცავს სამ ნაწილს: პირველი, პოლონელი თავად-აზნაურების თანამედროვე სოციოლოგიური მდგომარეობა ევროპელ თავადაზნაურობასთან შედარებით. მეორე, პოლონეთში მიმდინარე კვლევების ძირითად დასკვნები. მესამე ნაწილში განხილულია კეთილშობილურ მემკვიდრეებსა და ინტელიგენციის ფენათა შორის ურთიერთკავშირი, ხოლო ბოლოს შესაბამისი პროექტის საქართველოში დაწყების აქტუალობა.

კვლევის მეთოდოლოგია

არსებობს მცირე, მაგრამ მზარდი ლიტერატურა დაფუძნებული ემპირიულ კვლევაზე, რომელიც ცხადყოფს, რომ ევროპის პოსტ-ფეოდალურმა გარემომ (მაგ: გერმანია, ჰოლანდია, საფრანგეთი, პოლონეთი, ფინეთი, ავსტრია და ასევე

იაპონია) მიუხედავად ისტორიული მოვლენებისა, შეინარჩუნა გარკვეული სოციალური მნიშვნელობა (Dronkers 2003; Dronkers, Schijf 2003; Korom, Dronkers 2009; Saint Martin 2003). ცხადია, დღეს თავადაზნაურობა განსხვავდება ფეოდალური პერიოდისა და პოსტ-თანამედროვე სოციალური სტრუქტურისაგან, თუმცა თანამედროვე მერიტოკრატიული საზოგადოების ბირთვი არ დაშლილა, იგი ისევ ქმნის კეთილშობილური სოციალური თანხვედრის საფუძველს. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მათ შორის პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში მათ ჩამოართვეს ყველანაირი საკუთრება, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია კონკრეტული იდენტურობის ჩამოყალიბებაში. კვლევებმა, რომლებიც ხორციელდება თანამედროვე თავადაზნაურობისა და არისტოკრატიული საზოგადოების შესწავლისათვის, აჩვენებს რომ ამ გარემოცვის კვლავწარმოქმნა კონკრეტულად დამოკიდებული იყო იმ სოციოლოგიურ და კულტურულ კაპიტალზე, რომელიც თავად დააგროვეს.¹ გამოიკვეთა სხვა ჩვეულებებიც: მატრიმონიალური ჰომოგამია, გვართა შორის ურთიერთობების შენარჩუნება, გენიალოგიური მეხსიერების განვითარება, თაობათა სოციალიზაცია გაფართოებული ოჯახების საზღვრებში. თანამედროვე თავადაზნაურების სოციალური და კულტურული ურთიერთობების შესწავლა სცილდება ოჯახურ საზღვრებს და ისმება კითხვა, არის თუ

¹ ეს პროექტი დაფინანსებულია პოლონეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის (NCN) გრანტით“ ფეოდალური მემკვიდრეობის გავლენა და თანამედროვე პოსტ-კეთილშობილური ელიტის ფუნქციები პოლონეთის სამოქალაქო მოდელის ფორმირებაში“, No. Umo-2011/03 / B" HS6 / 03971. ასევე ეფუძნება სტატიას Smoczyński Rafał, Tomasz Zarycki. 2012. "Współczesne Polskie Elity Postszlacheckie W Kontekście Europejskim" *Kultura i Społeczeństwo* 1/201. 1/2012: 261-92.

არა ამ გარემოცვის წევრობა უპირატესობა? თუ ვივარაუდებთ ელიტის პროფესიულ პოზიციებს თანამედროვე მერიტოკრატიულ საზოგადოებაში. მაგალითად, დონკერმა (2003) ნიდერლანდებში შეადარა ელიტის პოზიციები, მე-20 საუკუნის განმავლობაში, თავადებსა და მაღალი ბურჟუაზიის ოჯახებს შორის. აღმოჩნდა, რომ ელიტარული პოზიციის მიღწევის ალბათობა, არ შემცირებულა. მისივე განმარტებით ვვარაუდობთ, რომ თავადაზნაურთა სოციალურ და კულტურულ კაპიტალს შეუძლია შეინარჩუნოს აქტუალობა, მოიპოვოს რა ელიტარული პოზიციები თანამედროვე საზოგადოებაში მანამ, სანამ ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ გამორჩეულ თვისებებს, სანამ ისინი იყენებენ მატრიმონიულ ჰომოგამიას და მშობლები მხარს უჭერენ თავდაპირველი სოციალიზაციის კრიტიკულ პოზიციებს ახალ თაობასთან მიმართებაში. ეს ყველაფერი კი კულტურული ურთიერთობის განვითარებაში ეხმარებათ.

პოლონელ თავადაზნაურობის კვლევა

პოლონეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტი (ფეოდალური მემკვიდრეობის გავლენა და თანამედროვე პოსტ-კეთილშობილური ელიტის ფუნქციები პოლონეთის სამოქალაქო მოდელის ჩამოყალიბებაში) ხორციელდება 2012 წლიდან. კვლევამ დაადასტურა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც შემოთავაზებული იყო დასავლეთ ევროპის სოციოლოგების მიერ. პროექტის მიხედვით კვლევამ აჩვენა, რომ პოლონეთის თავადაზნაურობამ შეინარჩუნა ერთობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (Smoczynski, Zarycki 2012; Ochał 2011; Rogowska-Augustynowicz 2008). მკვლევართა აზრით, პირები,

რომლებიც დაკავშირებულნი არიან ამ გარემოცვასთან, უნდა მივიჩნიოთ, პოლონეთის პირველი რესპუბლიკის მდიდარი თავადაზნაურების შთამომავლებად, რომლის წევრებმაც დაამყარეს ნათესაური კავშირი ბოლო საუკუნეების მანძილზე. თანამედროვე ურთიერთობის ფარგლებში ჩამოყალიბდა პროქსიმალური და შორეული ნათესაობის ხაზი, გაუმჯობესებული რამდენიმე თაობის მიერ, მიზანმიმართულად იზრდება ძალისხმევა რათა კულტივირებულ იქნას გენეოლოგიური ცოდნა, ნაჩვენებია ხაზების მთელი რიგი კომბინაცია, რომელთაც გადაკვეთეს ცალკეული ოჯახები. ეს კვლევა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაფართოებული ოჯახი, რომელიც შედგება ორი ან მეტი თაობისგან, არის დაკავშირებული სოციალურ ჯგუფთან, თუმცა არ რეგულირდება არცერთი ფორმალური კრიტერიუმის მიერ, იგი წარმოადგენს საკმაოდ არაოფიციალურ “უხილავი საზოგადოების“ წევრობის სოციალურ ქსელს, რომელიც უნდა იყოს აღიარებული ოჯახის სხვა წევრების მიერ. ამ კვლევის მიხედვით, მხოლოდ პოსტ-არისტოკრატიული გარემოცვა გვთავაზობს საკმარისი რაოდენობის კაპიტალს, რომელიც შეამსუბუქებს სოციალურ, ცოლ-ქმრულ და იდეოლოგიურ კვლავწარმოების პროცესს პოლონელ თავადაზნაურებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არისტოკრატიული ქსელი ქმნის შესაფერის ტრადიციულ „თავადაზნაურთა სამეზობლოს“, როგორც ჯერზი ჯიდლიცკი (2008) და ანდრეი ზაიაჩკოვსკი (1961) აღნიშნავენ, წარმოადგენს საჭირო სოციალურ ჯგუფს, რომელიც იცავს კეთილშობილურ იდენტობას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. დღესდღეობით ეს „უხილავი კეთილშობილური მეზობლობა“, მიუხედავად მისი მრავალგზის გადაკვეთისა სხვა კლასებთან და

ჯგუფებთან, ქმნის საკმარის სოციალურ ბაზას, რომელიც ხელს უშლის უარყოფითი გვლენა მოახდინოს იდენტობაზე. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის არისტოკრატები წარმოადგენენ კონკრეტულ შერეულ იდენტურობებს, რომლებიც კვეთენ, როგორც კლასის, ასევე სხვადასხვა სოციალურ და პროფესიონალურ პოზიციებს, სოციალურ სისტემაში დამკვიდრება იცავთ მათ საკუთარი იდენტურობის დაკარგვისაგან. მე-19 საუკუნეში წვრილმა თავადაზნაურობამ დაკარგა თავისი იდენტურობა ორი თაობის მანძილზე ზემოთ ხსენებულ სამეზობლოს დატოვების შემდგომ. პოსტ-არისტოკრატული გარემოცვის სოციალური რიტუალები ეს არის - უპირველეს ყოვლისა ჰომოგამიური ქორწინება, ადრეული ასაკის სოციალიზაცია, როცა ოჯახის ახალგაზრდა წევრები თავისუფალ დროს და დღესასწაულებს ატარებენ თავიანთ ნათესავებთან², რათა გააფართოონ მრავალშრიანი სივრცე, სადაც ამ საზოგადოების თანაგვარობაა დარეგისტრირებული.³

² ეს დაკვირვება უზრუნველყოფს შესაფერის ფიზიკურ განლაგებას (ნახსენები ბურდიეს მიერ 1989, 2007 ფრანგ არისტოკრატებთან მიმართებაში), რომელიც წარმოადგენს გადამწყვეტ მნიშვნელობას კულტურულ ურთიერთობებში (აღნიშნული დონკერსის მიერ 2003 ჰოლანდიურ კონტექსტში) ასევე უზრუნველყოფს ეფექტურ საშუალებას შევიდეს ფართო ოჯახურ ქსელში.

³ კვლევა განხორციელდა 2013-დან 2015-მდე. გამოკითხვები ჩატარდა არა მარტო ვარშავასა და კრაკოვში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. გამოკითხვა ჩატარდა ოფიციალური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთაც გამოავლინეს კომპეტენტური ცოდნა და გამოცდილება განალიზების სფეროში. შემდეგ იყო გამოყენებული „ინტენსიური განვითარების სტრატეგია“, რათა ურთიერთობა დაემყარებინათ რესპოდენტებთან, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული ოფიციალურ ორგანიზაციებთან, არამედ შეინარჩუნეს ურთიერთობა (ნათესაური კავშირები) გაფართოებულ ოჯახებთან. ეს არაოფიციალური გარემოცვა იყო იდენტიფიცირებული, როგორც პოსტ-თავადაზნაურობის ძირითადი წყობა თანამედროვე პოლონეთში. ნიმუში მოიცავს 72 გამოკითხულს (10 ქალი) ასაკი 20-დან 75-მდე. ნიმუში დაყოფილი იყო 4 ორგანიზაციულ კატეგორიად: გაფართოებული ოჯახის წევრები (36 გამოკითხული) პოლონეთის სათავადაზნაურო ასოციაცია (18) პოლონეთის

კეთილშობილური ინტელიგენცია პოლონეთის სამოქალაქო მოდელთან კავშირში

ჩვენი კვლევის მეორე ნაწილი ეხება თავადაზნაურთა მემკვიდრეობის გავლენას პოლონეთის სამოქალაქო მოდელზე და შეისწავლის საზოგადოებრივი ფენის სტატუსის ეფექტურობის მექანიზმს, კერძოდ თანამედროვე პოლონეთის ინტელიგენციის ფენისა. იგი ამტკიცებს, რომ თუმცა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, პოლონეთის ინტელიგენციამ თანდათანობით ჩაანაცვლა თავადაზნაურობა, მაინც შეინარჩუნა მთელი რიგი კოლექტიური თვითმყოფადობის იდენტურობის თვისებები, რომელიც მნიშვნელოვან სოციალურ დისტანციას ქმნიდა სხვადასხვა კატეგორიის პირებთან, როგორც სოციალური დამოკიდებულება იმ პირების მიმართ, რომლებიც ითვლებოდნენ ინტელიგენციად და არ შეესაამებოდნენ მაღალი მორალისა და სამოქალაქო სტანდარტებს. ყოფილი ფეოდალური თავადაზნაურობის გარდაქმნა იყო გარკვეულწილად ანალოგიური პროცესი, როცა წარმოიშვა თანამედროვე ბურჟუაზია, დემონსტრირებული ბურდიეს მიერ, მიუხედავად რევოლუციური გენეალოგიისა, იყენებდა უამრავ არისტოკრატიულ კულტურულ სტრატეგიებს. ფეოდალური გადმონაშთების მანიფესტაციები მაღალ საზოგადოებათა შორის გამოვლენილი იყო არა მხოლოდ პოლონეთის

მიწათმფლობელების ასოციაციის წევრები (9) და არასამთავრობო პირები (10). ზოგიერთი ორგანიზაციული კატეგორია ნაწილობრივ ემთხვევა რესპოდენტებში, ამ გზით ეს ციფრები არ ქმნიან 100 %-ს. პოლონეთის რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის გათვალისწინებით, სადაც არ არსებობდა ოფიციალური ინსტიტუტი, რომელიც აღიარებდა და აღწესდებდა თავადაზნაურთა წევრებს, ძნელია ჯანსაღი მეთოდების გამოყენება, ამგვარად გადაწყვიტეთ განვახორციელოთ ამ გამოკითხვაზე დამყარებული ხარისხიანი კვლევა.

მეორე რესპუბლიკის დროს (Tazbir 1979; Mich 2000), არამედ კომუნისტური პერიოდის დროსაც, როცა მთელი რიგი საკუთრების მფლობელობის უფლებაჩამორთმეულ თავადაზნაურობას შეუერთდა ინტელიგენცია. (მაგ: ექიმები, მასწავლებლები, საკანცელარიო მოხელეები) (Chalasiński 1946). ამ ფეოდალურმა მემკვიდრეობამ არა მხოლოდ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ინტელიგენციის ცხოვრების სტილზე, არამედ მოიტანა გაცილებით ღრმა სოციალურ-კულტურული შედეგები. მე-19 საუკუნეში ინტელიგენცია აყალიბებს პოლონეთის სამოქალაქო მოდელს, რომელმაც ნატურალიზაციის პირობებში მოიცვა უფრო ფართო სოციალური ფენა (Jedlicki 2008; Zarycki 2009; Zarycki, Warczok 2014). ეს პროცესი შეიძლება შეფასდეს როგორც წარმოსახვითი ჩამოყალიბების პროცესი. ლაკლაუს მიხედვით (1990), რომელიც აყალიბებს სოციალური პრობლემების გარჩევის სფეროს, ეფექტური სოციალური რეზონანსი მიღებული ამ გამოსვლებიდან, რომელიც წინასწარ განისაზღვრა წარმოსახვის ჰორიზონტის მიერ. აღსანიშნავია, რომ ეს წარმოსახვა წარმოადგენს მაგალითს ჰეგემონური სტრუქტურისა, რომელსაც აღწევს ყოველდღიურ ცხოვრებაში (ლაკლაუ 1990: 64). ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ასპექტი ამ მემკვიდრეობისა დაკავშირებულია სიმბოლურ ძალადობასთან, რომელიც პოლონეთის იერარქიაში ორგანიზების მიხედვით განსხვავდება და არის დაპირისპირება „უხეშსა“ და „მბრძანებელს“ შორის. ეს განსხვავებული მექანიზმი სხვადასხვა კლასიფიკაციის სტატუსით თანამედროვე პოლონეთის საზოგადოების ფენაზე სხვადასხვაგვარდ მოქმედებს (სმოჩინსკი, ფიცჯერალდი, ზარიცკი 2015).

ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე პოლონელი თავადაზნაურობა მთლიანად შეუერთდა ინტელიგენციას. პირიქით, როგორც ჩვენი ემპირიული მონაცემები ცხადყოფს, მათ მოახერხეს შეენარჩუნებინათ კონკრეტული სტრუქტურული მახასიათებლები. მოახერხეს, გაეფართოებინათ რამდენიმე თაობასთან დაკავშირებული ოჯახები და გაეფართოვებინათ მატრიმონიალური ჰომოგამიის ფართო ნათესაური კავშირი. ნათესაობის მაორიენტირებელი ასპექტების ნაკლებობას განიცდის ინტელიგენცია თავიანთ ოჯახებში. ინტელიგენციის შთამომავლები არ სოციალიზირდებიან დიაქრონულ ისტორიულ პერსპექტივაში და არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან რესურსს რეალური სტატუსის პოზიციონირებისას.

მიუხედავად ჩვენი მტკიცებისა (სმოჩინსკი, ზარიცკი 2013), აღინიშნება მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება, თანამედროვე თავადაზნაურობა უნდა იქნას აღქმული, როგორც თანამედროვე პოლონური ინტელიგენციის განუყოფელი ნაწილი.

ვებერისეული და მარქსისტული პერსპექტივის მიხედვით, თავადაზნაურობა არ არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი სოციალური კლასი, რომელიც განიცდიდა აგრარული წარმოების ნაკლებობას, ეს არის ინტელიგენცია, რომელიც უზრუნველყოფს პოსტ-არისტოკრატიული გარემოცვის არსებობასა და ფუნქციონირებას, როგორც მის კონკრეტულ ფენას, რომელთა წევრებიც დასაქმებულები არიან ძირითადად წამყვან პოზიციებზე. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დაქვემდებარება აზნაურებსა და ინტელიგენციის ფენათა შორის მსგავსია დასავლეთ ევროპული ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის ურთიერთკავშირისა.

პოლონური კვლევის შედეგების შესაძლო გამოყენება ქართველი თავადაზნაურობის შესწავლისას

ანალოგიური კვლევა შეიძლება განხორციელდეს საქართველოშიც და ვისარგებლოთ დასავლეთ ევროპასა და პოლონეთში ჩატარებული კვლევებით, მაგრამ ეს კვლევა ორიენტირებული უნდა იყოს ქართულ თავისებურებებზე, განსაკუთრებულ ისტორიულ დამოკიდებულებით კავკასიის რეგიონში და საბჭოთა სპეციფიკის გათვალისწინებით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგორც პოლონეთში, ასევე საქართველოს რესპუბლიკაში, პოლიტიკური სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, სადაც არ არის ფორმალური ინსტიტუტი, რომელიც აღიარებს და აღნუსხავს თავადაზნაურთა წევრებს, რთულია გამოიყენო რაოდენობრივი კვლევა, ამიტომ რეკომენდირებულია თვისებრივი კვლევა. კვლევამ უნდა დაადგინოს სოციალური აქტიორები, რომლებიც იყენებენ კეთილშობილურ მემკვიდრეობას და დაყოს ისინი კატეგორიებად. კითხვა უნდა დაისვას, რამდენად არიან ეს ჯგუფები არაფორმალური, ან თუ არიან ინსტიტუციონალიზებული და მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რომელი ჯგუფი იყენებს კეთილშობილურ მემკვიდრეობას უფრო ეფექტურად.

როდესაც ჩვენ განვახორციელებთ ჩვენი კვლევა პოლონეთში, მივხვდით მის ეფექტურობას და შესაძლებლობას, ლეგიტიმურობა მიენიჭოს თავადაზნაურთა ტრადიციებს, კერძოდ მის ელიტარულ კლასს და გამოიყენოს მისი მემკვიდრეობა სხვადასხვა ტიპის სოციოლოგიური აქტივობების დაკანონებისთვის. საინტერესოა შევისწავლოთ ის თავისებურებები, რამაც ეს ჯგუფი გადაარჩინა საბჭოთა პერიოდში. თვისებრივ კვლევას შეუძლია შეისწავლოს რეორგანიზაციის სტრატეგიები, რომელსაც იკვლევდა ლონგინა

ჯაკუბოვსკაია (2012) კომუნიზმის პერიოდში. ყველაზე საინტერესო დაკავშირებულია კეთილშობილური გარემოცვის სოციალური სტრუქტურის აღწერასთან. ანალიზი დაკავშირებული უნდა იყოს ჯგუფის შიდა კავშირების თავისებურებებთან, მათი აღწარმოების მეთოდებთან. კითხვები უნდა იყოს მიმართული ჯგუფის წევრების კრიტერიუმების კვლევისკენ, ჯგუფის შიდა იერარქიული მდგომარეობისკენ, თვისობრივი კითხვები ასევე უნდა ეხებოდეს პოსტ-კეთილშობილური გარემოცვის ურთიერთობებს სხვა სოციალური ჯგუფების მიმართ.

პოლონეთის კვლევის გათვალისწინებით, ამ უკანასკნელმა კვლევამ შეიძლება რიგ საკითხებთან ერთად შეამოწმოს სოციალური დისტანციის სტრატეგიები სხვა სოციალური ჯგუფების მიმართ.

ბოლოს, კვლევამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ქართული პოსტ-კეთილშობილური გარემოცვის სოციალური და კულტურული კაპიტალის შენარჩუნების პრაქტიკას. იმის გათვალისწინებით, რომ ადრე ჩატარებულმა კვლევამ პოლონეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში, უჩვენა, რომ სავარაუდოდ გადაამწყვეტი როლი ენიჭება ამ რესურსებს პოსტ-კეთილშობილური იდენტურობის შენარჩუნებაში. ქართველმა მეცნიერებმა სხვა საკითხებთან ერთად შეიძლება გამოიკვლიონ კეთილშობილური საზოგადოების ცხოვრების სხვა საკითხებიც, ოჯახური ტრადიციების შენარჩუნება (მათ შორის ქორწილები, დაკრძალვები და რელიგიური დღესასწაულები), სხვადასხვა სახის მეჯლისები, რომელსაც ზოგჯერ გარეშე პირი ესწრება, გენეოლოგიური კომპეტენციები ამ წევრებსა და გარემოცვას შორის, გვარებს შორის ნათესაური კავშირები. დაგეგმილი კვლევის უპირატესობა იქნებოდა,

შეისწავლოს ქართული და რუსული თავადაზნაურობის ურთიერთკავშირი, გამოიკვლიოს ქართულ-რუსული ინტელიგენციის ურთიერთობები წარმოქმნილი მე-19 საუკუნის მიწურულიდან. შეიძლება რომ ზოგიერთი იდეა გამოყენებული იქნას ჩვენი ნამუშევრიდან ინტელიგენტური რევოლუცია რუსეთის იმპერიის პერიფერიაზე და პოლონელი ინტელიგენციის როლის შესახებ (ზარიცკი, სმოჩინსკი 2014). თუ ამისთვის რუსული იმპერიის მოდელი გამოდგება.

ავთანდილ სულაბერიძე
ვლადიმერ სულაბერიძე
ნათია შუმტაკაშვილი

თავადაზნაურთა ტრანსფორმაციის თავისებურებანი საქართველოში

ვიდრე ქართველ თავადაზნაურთა ტრანსფორმაციას თანამედროვე პირობებში განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ამ პროცესის დამახასიათებელი თავისებურებანი ისტორიულ კონტექსტში. საქმე ისაა, რომ ქართველ თავადაზნაურთა დღევანდელი შთამომავლობის მოღვაწეობა ბევრად განსხვავდება წინა საუკუნეებში თავადაზნაურთა ვალდებულებებისგან. ამ უკანასკნელთა ტრანსფორმაცია ყოველთვის მწვავე და რთულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებაში მიმდინარეობდა. ამის გამო ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით იგი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ წინა საუკუნეებში სხვა რელიგიური რწმენის მქონე არაბების, მონღოლების, სპარსელების და ოსმალების შემოსევებს ისე არ დაუზარალებიათ ქართველი თავადაზნაურობა, როგორც ერთმორწმუნე მართლმადიდებელ რუსეთს, ჯერ იმპერიის, შემდეგ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში.

რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ 1801 წელს დაარღვია 1783 წელს საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის გაფორმებული „გიორგიევსკის ტრაქტატის“ პირობები და ძალადობრივად გააუქმა სამეფო ტახტი, ხოლო სამეფო დინას-

ტიის მემკვიდრე ბაგრატიონები სამშობლოდან გადაასახლა. მათთან ერთად სასტიკად იდევენბოდნენ ბაგრატიონთა სამეფო კარის მომხრე თავადებიც. სწორედ ამ პერიოდში რუსეთის იმპერატორმა, მანამდე ცალ-ცალკე არსებული ქართული ფეოდალური კლასის ორი ფენა თავადები და აზნაურები, ერთ კლასად – თავადაზნაურობად გააერთიანა და სტატუსით ერთმანეთს გაუთანაბრა, თუმცა მათ შორის ქონებრივი სხვაობა მაინც დარჩა.

ეს ფაქტი მიგვაჩნია ქართველ თავად-აზნაურთა ძალადობრივი ტრანსფორმაციის ერთერთ თავისებურებად, რაც ევროპის ქვეყნებში არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ ამ აქციით რუსეთმა დაიწყო ქართული ფეოდალური არისტოკრატის რღვევა. კერძოდ, თუ მანამდე ქართველი თავადაზნაურობა წარმოგვიდგებოდა ქვეყნის არისტოკრატად, როგორც ქვეყნის ელიტა და მას წამყვანი ადგილი ეკავა საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ამის შემდეგ, რამდენადაც საქართველოში მმართველ სამოხელეო აპარატს უკვე რუსეთის იმპერია ძირითადად რუსებით აკომპლექტებდა, მათ დაეკარგათ მმართველი ელიტის ფუნქცია.

ამას დაემატა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საეკლესიო აზნაურების ყმა-მამულებით, სახაზინოდ გამოცხადება, რამაც კიდე უფრო დაამძიმა ქართველ თავადაზნაურთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ტრანსფორმაცია.

რუსეთის იმპერიას ქართველი თავადაზნაურთა „ლიკვიდაცია“ უადვილებდა ქვეყნის სრულ ანექსიას. ბუნებრივია, ქვეყნის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაკარგვას ქართველი თავადაზნაურობა ვერ შეეგუებოდა და ხშირად

აწყობდა აჯანყებებს და შეთქმულებებს. შეიძლება ითქვას, რომ 1832 წლის თავადაზნაურთა შეთქმულებამ, მიუხედავად დამარცხებისა, სათავე დაუდო ქართველ თავადაზნაურთა ახალ თვისობრივ ტრანსფორმაციას, რაც გამოიხატა ევროპაში განათლების მიღებით ქართული კულტურის აღორძინებაში. შექმნეს მოსახლეობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რამაც არსებითი როლი შეასრულა დაბალი ფენის – გლეხობის განათლების საკითხში.

რამდენადაც საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმი კლასიკური ფორმით ვერ ჩამოყალიბდა, ამიტომ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ვერ მოხერხდა თავადაზნაურთა ბურჟუაზიული არისტოკრატის ელიტის სახით ფორმირება.

მე-19 საუკუნისგან განსხვავებით, ახლად აღდგენილი დამოუკიდებლობის (1918-1921 წწ.) დაკარგვის შემდეგ ბევრად უფრო მწვევე ფორმით გაგრძელდა ქართველ თავადაზნაურთა „ლიკვიდაცია“. შეიძლება ითქვას, რომ რაც ვერ მოახერხა რუსეთის იმპერიამ იგი წარმატებით განახორციელა საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიებმა, რაც ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი – 1921-1940 წწ. და მეორე – მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ. რამდენადაც საქართველოსგან განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეპრესიები მხოლოდ ომის შემდეგ განხორციელდა. ამ ქვეყნებმა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნეს ბურჟუაზიული არისტოკრატია. მათ მომავალ თაობას მეტ-ნაკლებად შეუნარჩუნეს ეროვნულ-კულტურული და ტრადიციული ნორმები, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა 1990-იან წლებში. ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენასა და საბაზრო ეკო-

ნომიკაზე „ხავერდოვან“ გადასვლაში. ამასთან საქართველოსგან განსხვავებით ამაში გარკვეული როლი ითამაშა ამ ქვეყნების მეზობლობამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

მათგან განსხვავებით საქართველოში ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის რეპრესიებით დაუძლურებულმა ქართველმა თავადაზნაურობამ მე-20 საუკუნეში ვეღარ გაუძლო ორ ეტაპად განხორციელებულ კომუნისტურ რეპრესიებს და 1960-იან წლებიდან ფაქტიურად მოხდა მათი შთამომავლობის აღრევა ახალი ტიპის კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც ქვეყნის მართვას მუშურ-გლეხური „არისტოკრატია“ აძლავდა ტონს. აღნიშნულის შედეგად ქართულ თავადაზნაურობას დარჩა მხოლოდ წარსულის ნოსტალგია და იგი პიროვნულად თანდათანობით Homo soveticus-ად ჩამოყალიბდა. ქართველ თავადაზნაურთა შთამომავლობა ოჯახის შექმნისას აღარ აქცევდა ყურადღებას მეუღლის სოციალურ წარმომავლობას. შეიქმნა „საბჭოთა არისტოკრატია“ ე.წ. „პარტოკრატის“ სახით, რომელმაც 1990-იან წლებში „კლექტოკრატიული“ ფენა წარმოშვა. მათ შემადგენლობაში თავადაზნაურთა წარმომავლობის პირები ნაკლებად, ან თითქმის არ არიან. ეს განაპირობა თავადაზნაურთა შთამომავლების ჯერ კიდევ კომუნისტურ პერიოდში ძირითადად კულტურის, ხელოვნების, განათლების და მეცნიერების სფეროში მოღვაწეობამ.

თავადაზნაურთა შთამომავლობა, როგორც Homo soveticus-ი აღმოჩნდა კომუნისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ კომუნისტურ-საბჭოური მომხმარებლური და ავტორიტარული ტიპის საზოგადოებაში, რომლის წევრებსაც სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული ჰქონდა დასაქმება, ხელფასი და პენსია. სახელმწიფო ბიუჯეტიდან

უზრუნველყოფილი ჰქონდა განათლების მიღების, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები. ამასთან, თუ Homo soveticus-ი სახელმწიფოს იდეოლოგიის წინააღმდეგ გამოთქვამდა კრიტიკულ მოსაზრებას, სულ მცირე კარგავდა ზემოთქმულ გარანტიებს, ხოლო გადაჭარბების შემთხვევაში ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრებოდა.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა Homo soveticus-ის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ფენები (ტიპები): მუშების, გლეხების, მოსამსახურეების და თავისუფალი პროფესიის მქონეთა სახით. თავადაზნაურთა შთამომავლობამ თავისი ადგილი ჰპოვა ძირითადად მოსამსახურეთა და თავისუფალი პროფესიის მქონე სოციალურ ფენაში.

საინტერესო პროცესები განვითარდა „პერესტროიკის“ შემდეგ. 1989 წელს საქართველოში შეიქმნა იატაკქვეშა მონარქისტული ჯგუფი, შემდეგ დაარსდა მონარქისტული პარტია, შემდეგ ტრადიციონალისტთა კავშირი. 1990 წელს შეიქმნა თავადაზნაურთა საკრებულო. 2001 წელს დაარსდა ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმი. 2002 წელს კი შეიქმნა სამეფო (მონარქისტული) კლუბი.

საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს ძირითადი მიზანია ქრისტიანულ-მონარქისტული მსოფლმხედველობის დამკვიდრება, ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა, ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება კონსტიტუციური მონარქიის სახით.

ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლობის, თავადაზნაურთა და მათ თანადგომთა საკრებულოს ინიციატივით და საქართველოს საპარტიარქოს მხარდაჭერით 2001 წელს საპარტიარქოში გაიმართა კონფერენცია თემაზე “გზა მონარქიისკენ”,

2004 წელს კი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქართული მონარქიზმის თავისებურებანი“.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე ქართველ თავად-აზნაურთა შთამომავლობის (რაც ძირითადად გვარის მეშვეობით შეიძლება დადგინდეს) Homo transformaticus-ად (რომელსაც უნდა მოჰყვეს Homo economicus) ფორმირება საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად მწვავედ მიმდინარეობს. 1996 წლის სოციოლოგიური გამოკვლევით² გამოვლენილ იქნა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პირველ წლებში თავისი ცნობიერებიდან გამომდინარე, Homo transformaticus-ის შემდეგი პირობითი ტიპები: „ახალი ქართველები“; „ოპტიმისტები“, „სოციალისტები“, „ტრადიციონალისტები“, „კონსერვატორები“, „ევროპელები“, „პიონერები“ და სხვ. ამ ტიპებში ქართველ თავადაზნაურთა შთამომავლობა ძირითადად წარმოგვიდგება „ტრადიციონალისტების“ და „კონსერვატორების“ სახით და ნაკლებად საბაზრო ეკონომიკის პირობების შესატყვის ტიპებში.

საქართველოს საზოგადოების სოციალური ტრანსფორმაცია Homo transformaticus-იდან Homo economicus-ად წელი ტემპით მიმდინარეობს და მის ხელშემშლელ ფაქტორებად ძირითადად უნდა მივიჩნიოთ

1. არასასურველი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემო;

² გამოკვლევა შესრულდა CASE-თან ერთად სოროსის ფონდის მხარდაჭერით 1996 წელს

2. ბიზნესის წარმოების (მენეჯმენტის) უნარ-ჩვევების და Homo economicus-ად მომზადების სახელმწიფო პროგრამების არარსებობა;

3. ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა;

4. საბჭოთა ოჯახის კეთილდღეობის ნოსტალგია;

5. სოციალური და ჯანდაცვის არასრულყოფილება და დაბალი დონე;

6. ოჯახის ეკონომიკური აქტივობის პროგრამების არარსებობა;

7. ოჯახში მყარად ფორმირებული კონსერვატორული ტრადიციული ქართული ოჯახის შესატყვისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ნორმები და ა.შ.

Homo soveticus-ის Homo economicus-ად ფორმირების ხელშემშლელ ფაქტორთა ჩამოთვლა კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ, მაგრამ საზოგადოების სხვა წევრებისგან განსხვავებით თავადაზნაურთა შთამომავლების ტრანსფორმაციის ძირითად ხელშემშლელ ფაქტორად მაინც სტიგმატი რჩება. საქმე ისაა, რომ თავადაზნაურული გვარის წარმომადგენლები თავისი ინტელექტითა და კულტურით ყოველთვის მეტ-ნაკლებად გამოირჩეოდნენ საზოგადოების სხვა წევრებისგან. თავისი ღირსეული ქცევით და განათლებით იმსახურებდნენ პატივისცემას და საზოგადოებაში ავტორიტეტით სარგებლობდნენ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველივე წლებიდან მათ საზოგადოებისგან გარკვეულწილად გარიყულად იგრძნეს თავი. ისინი ვერ მოერგნენ „ველურ კაპიტალიზმს“ და მათთვის უცხო სოციალურ გარემოში აღმოჩნდნენ. საქმე ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირველ წლებში „კლექტოკრატიის“ სახით ახლად წარმოქმნილ ელიტაში აღმოჩნდნენ ყოფილი პარტოკრატები, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები,

„წითელი დირექტორები“ და პირები, რომელთაც პრივატიზაციის პროცესში მიიტაცეს სახელმწიფო ქონება და შესაბამისად სიმდიდრით გამორჩეულებმა დაიკავეს მმართველი ელიტის ადგილი. მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია და ნაკლებ ფასეულია ქვეყნის წინაშე თავადაზნაურთა შთამომავლობის ღვაწლი, თუნდაც მეცნიერებაში, ხელოვნებაში და კულტურაში. სწორედ ამ ფაქტს ვერ შეეგუა თავადაზნაურების შთამომავლობა, მაგრამ პროტესტის მაგიერ მათ გაჩუმება არჩიეს. რეფორმატორების ნაცვლად მათ მედროვეები დაინახეს, რომელთა გვერდით ყოფნა მათთვის მიუღებელია. სწორედ ესაა ძირითადად მაინც მათში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფორმირებული სტიგმა. საბედნიეროდ ისინი ნელ-ნელა ძლევენ სტიგმას და ქვეყნის სამსახურში დგებიან, რაც ქვეყნის აღორძინების საწინდარია.

ნინო გომელაური
მარიამ სულაბერიძე
ნინო ქურდაძე

**თავადაზნაურთა ტრანსფორმაცია მე-20 საუკუნის განმავლობაში
(საქართველოს კონტექსტი)**

შესავალი

საქართველოში თავადაზნაურთა გვარის წარმომადგენელთა ტრანსფორმაცია მე-20 საუკუნის განმავლობაში ერთობ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში წარიმართა. მათი ტრადიციების მნიშვნელობა ქართველი ერის თვითშემეცნებაში დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებში განხილულია თავადაზნაურთა ისტორია, მათი როლი ქვეყნის ისტორიულ და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ ეს ძირითადად წარსული ეპოქების ისტორიაა. სათანადო კვლევები არ ჩატარებულა, თუ რა გავლენა მოახდინა ქართველ ინტელიგენციაზე თავადაზნაურული წარმოშობის ფესვებმა თანამედროვე ქართული საზოგადოების სამოქალაქო მოდელის ფორმირებაზე. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ერთ-ერთი პირველი მცდელობაა ამ საკითხის შესწავლისათვის.

საქართველოში თავადაზნაურთა მდგომარეობა არსებითად განსხვავდება ევროპული ქვეყნებისგან. ევროპაში თანამედროვე პოლიტიკური კულტურის გენეზისში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არისტოკრატამ. საქართველოში კი სახელმწიფოებრიობის არ ქონამ, რევოლუციებმა და რეპრესიებმა გარკვეული როლი შეასრულა თანამედროვე საზოგადოების ფორმირებაში. ასევე თავად-

აზნაურთა ტრანსფორმაციის შესწავლა საქართველოში შეუძლებელია სამეფო გვარის – ბაგრატიონთა წარმომადგენლების გარეშე. ქართველი ხალხის ცნობიერებაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი წესრიგის სიმბოლოდ აღიქმება სამეფო დინასტიის – ბაგრატიონების და თავად-აზნაურთა წარმომადგენელთა მოღვაწეობა. ამ დინასტიას 1300 წლიანი უწყვეტი მმართველობის მანძილზე რამდენიმე წმინდანი ჰყავს. ყველაზე უფრო გამწვავებულ პოლიტიკური კრიზისის პირობებშიც კი საქართველოში სამეფო დინასტიის შეცვლის საკითხი არასოდეს დამდგარა.

მინდა ავღნიშნო, რომ პოლონეთსა და საქართველოში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წვრილი თავადაზნაურობა და ორივე ქვეყანა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ამიტომ შეიძლება საერთო ნიშნები შევნიშნოთ.

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. რუსეთის ოკუპაციის შემდეგ ქვეყანამ ჰარმონიული განვითარების საშუალება დაკარგა.

მეოცე საუკუნის პოლიტიკურ რეპრესიებს შეეწირა მრავალი ცნობილი მეცნიერი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ასევე უცნობი, მაგრამ ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდები თავადაზნაურთა წრიდან. ამ რეპრესიების კვალი დღემდე იგრძნობა და ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ დიდ დანაკლისს განიცდის.

რამდენადაც მეცნიერება და ხელოვნება საბჭოთა სახელმწიფოსთვის სტრატეგიული სფერო იყო მტრულ, კაპიტალისტურ სამყაროსთან კონკურენციისათვის თუ საკუთარი მოსახლეობის ინდოქტრინიზაციისათვის, მეცნიერებისა და

კულტურის მუშაკებმა საზოგადოებრივ იერარქიაში პრივილეგირებული ფენის სტატუსი მოიპოვეს. თუმცა ეს უფრო ცარიელი სტატუსი იყო, ვიდრე რეალობა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ინტელიგენცია ორ სრულიად განსხვავებულ მენტალობისა და სტატუსის ჯგუფად იყოფოდა: ერთი მხრივ, კორუმპირებული და პრივილეგიებისთვის მებრძოლი ნომენკლატურა, რომლის „ელიტარულობის“ განმსაზღვრელი არა იმდენად შემოქმედებითი მიღწევები, რამდენადაც მათი ძალაუფლების სტრუქტურებში ყოფნა და იდეოლოგიურ კონიუქტურასთან მორგება იყო და მეორე მხრივ, იმ მეცნიერების, მწერლების, მუსიკოსების, მხატვრების თუნდაც მცირერიცხოვანი ნაწილი, რომელიც უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაში ყოფნის ფასად საკუთარ საქმეს აკეთებდა და პოლიტიკურ კონიუქტურას ემიჯნებოდა. ასეთი ინტელიგენციის წარმომადგენლები ძირითადად თავადაზნაურული ჩამომავლობის იყვნენ და კორუმპირებული საზოგადოების დაცინვისა და აბუჩად აგდების ობიექტი იყო. „სიმბოლური კაპიტალი“ - როგორც სოციოლოგები უწოდებენ, - ანუ ცოდნა და განათლებულობა, როგორც თავისთავადი ღირებულების მატარებელი არამატერიალური „ქონება“, მოწიწების საგანიცაა და ერთგვარი „კლასობრივი“ შუღლისაც.

კვლევის მეთოდოლოგია

თავადაზნაურობის, როგორც სოციალური ფენის როლი ისტორიულად აღიარებულია. თანამედროვე სოციოლოგიურ ლიტერატურაში აღწერილია კეთილშობილური მემკვიდრეობის ეფექტური გამოყენების მრავალრიცხოვანი შემთხვევები. დღევანდელ საზოგადოებაში და თანამედროვე ევროპის, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის ფუნქციო-

ნირებაში ისინი დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. კეთილშობილური მემკვიდრეობა, როგორც ირკვევა, დღესაც წარმოადგენს კერძო პირთა, სტრუქტურების და სოციალური ჯგუფებისათვის გამოყენებად მნიშვნელოვან სიმბოლურ რესურსს. ჩვენი პრობლემის შესწავლის თავლსაზრისით თანამედროვე ევროპის ქვეყნები შეიძლება დავეყთ ორ ძირითად ტიპად: ქვეყნები კონსტიტუციური მონარქიით და რესპუბლიკები. კონსტიტუციური მონარქიის ქვეყნებში თავად-აზნაურთა სტატუსი განსაზღვრულია და მემკვიდრეობა რეგულირდება კანონით. კერძოდ, დღესათვისაც ცნობილია ინგლისელი არისტოკრატის მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური როლი. რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნებში თავად-აზნაურული სტატუსი როგორც წესი კანონით არ რეგულირდება.

თანამედროვე სოციოლოგიურ ლიტერატურაში განიხილავენ კარგად შესწავლილი ორი ქვეყნის მოდელს - ნიდერლანდებსა და საფრანგეთის რესპუბლიკას. არსებობს ასევე ინგლისური მოდელი. კეთილშობილური მემკვიდრეობის კვლევისას მკვლევარები ორივე ქვეყანაში იყენებდნენ სხვადასხვა მეთოდოლოგიურ მოდგომებს. ჩვენ გავცვანით ორი სამეცნიერო სკოლისა და ორი განსხვავებული კონტექსტის ქვეყნების რეპრეზენტაციულ მაგალითს, რომლებშიც კეთილშობილური მემკვიდრეობა ფუნქციონირებს როგორც სიმბოლური რესურსი. მათმა გაცნობამ გავვიადვილა სისტემური კვლევის მეთოდების გამოყენება საქართველოს შემთხვევაში.

კვლევა ძირითადად დამყარებულია სოციოლოგიური კვლევის თვისებრივ მეთოდზე და ეყრდნობა თავად-აზნაურების და ბაგრატიონების შტოს შთამომავალთა

ინტერვიუებს. გამოკვლევის მიზანი იყო არა მხოლოდ თანამედროვე მდგომარეობის აღწერა, არამედ უფრო ფართო სოციალურ კონტექსტზე მითითება, რომელიც განაპირობებს მათი აღწარმოების პროცესს. გამოკითხვა ჩატარდა 2015 წლის ივნისიდან 8 სექტემბრამდე ქალაქ თბილისში. გამოკვლევაში მონაწილეობდა 21 წლის ასაკიდან 57 წლამდე 38 რესპონდენტი, მათ შორის 18 ქალი.

კვლევის შედეგები

უწინარესად აღსანიშნავია პოსტარისტოკრატული საზოგადოების ზრუნვა ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებაზე, ახსოვთ თავისი წინაპრები და ნათესავი ოჯახების წინაპრები. რესპონდენტთა უმეტესობამ უშეცდომოდ ჩამოთვალა რამდენიმე ათეული წლის წინანდელი წინაპრები, გენიოლოგიურ ხეზე განლაგებული წინაპრები. გამოკითხულთა 50%-ის ოჯახში ცხოვრობს ორ ან სამი თაობა ერთად ანუ გაფართოებული ოჯახებია. ძირითადად ახალგაზრდა ოჯახები ცხოვრობენ ცალკე, თუმცა ყოველდღიური ურთიერთობა (თუნდაც სატელეფონო) მაინც აქვთ მშობლებთან და ბებიებებთან. გაფართოებული ოჯახი საშუალებას იძლევა მჭიდრო კონტაქტები დაამყარონ ნათესაურ წრესთან და ჰქონდეთ მეგობრული ურთიერთობა თანატოლ ნათესავებთან. 20 რესპონდენტისთვის სასიამოვნოა ეს ურთიერთობები, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების ტემპებიდან გამომდინარე ხშირად ვერ ახერხებენ შეხვედრას. მეტ დროს ატარებენ მეგობრებთან და კოლეგებთან. მათ შორისაც არიან დიდგვაროვნები, მაგრამ მეგობრის არჩევისას მათ წარმომავლობას მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

კითხვაზე ფიქრობთ თუ არა, რომ გარკვეული დისტანცია უნდა გქონდეთ იმ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებთან, ვისთანაც არ იზიარებთ გარკვეულ კულტურულ ასპექტებს, ეტიკეტის წესებს და ა.შ. პასუხი იყო ერთმნიშვნელოვანი - რასაკვირველია.

ჰომოგამიურ ქორწინებაში იმყოფებიან ძირითადად 51 წლის ასაკის ზემოთ მყოფი რესპონდენტები და მათი ორივე მშობელი თავადაზნაურთა გვარის წარმომადგენელია. ახალგაზრდა თაობაში ჰომოგამიური ქორწინებები კლებულობს. ეს მნიშვნელოვანი იყო 20-იან და 30-იან წლებში, როდესაც სხვა სოციალურ ჯგუფთან არ ჰქონდათ საერთო ინტერესები, კულტურული კოდი, მნიშვნელოვანი იყო „ოჯახური კოდექსი“, ეტიკეტი. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დედა არ იყო თავადური გვარის წარმომადგენელი, რის გამოც მამის მხარე ხშირად დამცინავად მოიხსენიებდა მის გვარს და ეს ბავშვობის უსიამოვნო მოგონებად დარჩა.

აღსანიშნავია, რომ დასაქორწინებელ რესპონდენტთა დიდი ნაწილი არ ანიჭებს უპირატესობას, რომ მისი მეუღლე იყოს კეთილშობილური წარმომავლობის, თუმცა ისურვებდა რომ ასე ყოფილიყო. თანამედროვე ქართველი დიდგვაროვნები არ აკრიტიკებენ იმ დიდგვაროვნებს, რომლებიც ქორწინებაში იმყოფებიან არადიდგვაროვნებთან. მათი მშობლებისა და უფრო ადრინდელი თაობა ასეთ ქორწინებას არ იწონებდნენ, მაგრამ წინააღმდეგობას არ უწყევდნენ.

კითხვაზე რა ტრადიციები შენარჩუნდა წინა თაობებისგან და ეს ტრადიციები რაიმე გავლენას თუ ახდენს მათ განსხვავებულ ქცევაზე 22 რესპონდენტი აღნიშნავს რომ ეს არის ზრდილობა, უფროსებისადმი პატივისცემა, წარმომავლობის მიმართ გარკვეული პატივისცემა და სუფრის

ეტიკეტი. მამაკაცი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მამები მათ ასწავლიდნენ ქალისადმი პატივისცემას, იარაღის ხმარებას, იარღთან ფრთხილად მოპყრობას, საქმისადმი პროფესიონალურ დამოკიდებულებას. იყო ერთად სადილობის ტრადიცია, რაც დღეს მხოლოდ დღესასწაულებზე შენარჩუნდა. სუფრასთან განიხილებოდა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები. შესაბამისად ეს ტრადიციები ბავშვებს უყალიბებს ზომიერ კონსერვატივიზმს, ეროვნული ფასეულობებისა და ენის სიწმინდის დაცვას. მხოლოდ 3-მა აღნიშნა რომ არა აქვთ კონკრეტული ცხოვრების წესი და განსხვავებული ქცევები. გამოკითხულ 8 დიდგვაროვანთა შვილები გაწევრიანებული არიან თავადაზნაურთა საზოგადოებისა და სამეფო კლუბის ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. ასეთ ორგანიზაციებში გაწევრიანებამ აამაღლა მათი სამოქალაქო ვალდებულებების გრძნობა და თვლიან, რომ ქვეყნის დღევანდელ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში კეთილშობილურ წარმომავლობას ერთმნიშვნელოვნად დადებითი როლის შესრულება შეუძლია, თუ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება ამ როლს გაათვითცნობიერებს. გამოკითხულთაგან 15 თვლის, რომ კარგია სხვადასხვა საზოგადოებების და კავშირების არსებობა, მაგრამ ამ ეტაპზე მათი საქმიანობიდან მნიშვნელოვანი მოლოდინი არ აქვთ.

წინა საუკუნეებში თავადაზნაურები მოღვაწეობდნენ სამხედრო და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. დღეს ასეთი გვარის წარმომადგენლები ძირითადად კულტურის სფეროში მოღვაწეობენ. ყველა რესპონდენტს აქვს უმაღლესი განათლება ან არის სტუდენტი და მიაჩნიათ, რომ უმაღლესი განათლება პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში აუცილებელია ელიტური პოზიციის მისაღწევად. 21-ე

საუკუნეში თუ თავად-აზნაურობა შეძლებს ავტორიტეტის აღდგენას (თუმცა არსებობს კითხვის ნიშნები) მორალის, აღზრდის და ჯერ კიდევ არდაკარგული ეროვნულ-კულტურული შემეცნების ხარჯზე, ეს დადებით შედეგს მოუტანს ქვეყანას. საზღვარგარეთ მცხოვრებ ემიგრანტებთან აქტიური ურთიერთობა მხოლოდ სამეფო გვარის წარმომადგენლებს - ბაგრატიონებს აქვთ.

საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც განსაზღვრავს ხართ თუ არა დიდგვაროვანთა გარემოცვის წევრი, მხოლოდ გვარია განმსაზღვრელი. ერთმა რესპონდენტმა 42 წლის ქალბატონმა გამოთქვა სურვილი, რომ აიკრძალოს გვარის შეცვლა ისტორიული საარქივო დოკუმენტაციის გარეშე. 37 რესპონდენტს არ ჰქონია მცდელობა მოეთხოვათ ის, რაც ადრე მათ საკუთრებაში იყო, რადგან ამის რეალური საფუძველი არ არსებობდა. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა დაიბრუნა ჩამორთმეული საცხოვრებელი ბინა, ისიც იმიტომ, რომ მისი მამა საბჭოთა მაღალჩინოსანი იყო (თუმცა თავადური გვარის წარმომადგენელი) და რეაბილიტირებულ იქნა რეპრესიების შემდგომ.

პატრიარქის იდეას საქართველოში მონარქიის აღდგენის შესახებ პოზიტიურად უყურებს 17 რესპონდენტი, თუ კი პოლიტიკური ვითარება იქნება ხელშემწყობი. 8 რესპონდენტი ფიქრობს რომ ეს არა რეალურია, 10 წინააღმდეგია მონარქიის აღდგენის, 3 რესპონდენტს არ უფიქრია ამ საკითხზე, მაგრამ სჯერა პატრიარქის. პატრიარქის 2007 წლის ოქტომბრის საკვირაო ქადაგებაში გამოთქმული მოსაზრება საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის, როგორც შესაძლო სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის შემოღებასთან დაკავშირებით, საზოგადოების ნაწილის მიერ სიხარულით იქნა აღთქმული.

დასკვნები

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში თავადაზნაურობას მხოლოდ სიმბოლური როლი აქვს. საბჭოთა საქართველოს პერიოდში თავადაზნაურობის ნაწილმა მოირგო ინტელიგენციის როლი, შეეგუა მერიტოკრატიულ თანამედროვეობას. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში თავი კი გადაირჩინეს, მაგრამ მათი განათლებისა და კულტურული კაპიტალის მიუხედავად დაკარგეს სოციალური მნიშვნელობა, აქტივობა.

თავადაზნაურთა ტრანსფორმაცია ნაკლებად შესწავლილია, კვლევებიც ფრაგმენტულია და ვფიქრობთ მომავალში ამ საკუთის კვლევა კომპლექსურთან ერთად სისტემურად უნდა იყოს. უნდა მოიცვას სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფები.

ახალგაზრდა თაობას მეტი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დიდგვაროვანი წინაპრების დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე. მედიამ სასურველია მეტი ყურადღება დაუთმოს დიდგვაროვანთა შთამომავლებს, მათ დღევანდელ საქმიანობას, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს მათ ტრანსფორმაციას საქართველოში არსებულ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მზია სურგულაძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლი. გამომცემლობა „კანდელი“, თბ., 1995 წ.
2. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეები. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2014 წ
3. გიორგი მაისურაძე. დაკარგული კონტექსტები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2012 წ.

4. საქართველოს თავდაზნაურობა. ტომი 2, თბილისი, 2014 წ.
5. Dronkers Jaap. Has the Dutch nobility retained its social relevance during the 20th century? European Sociological Review. Vol.19 #1,81-96
6. Dronkers J., Schijf H. How Dutch nobility kept its elite positions during the 20th century. <http://mpira.ub.uni-muenchen.de/22151/>
7. Зарицкий Т., Смочинский Р. Интеллигентская революция на периферии Российской империи и ее современные последствия: землянское наследие в польской гражданской модели. Мир России. 2014. №1

Introduction

The Georgian National Academy of Sciences and the Polish Academy of Sciences on 10 May 2006 According to the Memorandum of Agreement, co-operation between the institutions of the Georgian National Academy, Demographic Commission of the Department of Social Sciences and the Polish Academy of Philosophy and Sociology started in December 2014.

According to the decision of the National Academy of Sciences, Academician Otar Kvesitadze, the Polish Academy of Sciences Institute of Sociology, Professor Rafael Smoczynski who came to establish relations, the collaboration with him was entrusted to be done by Professor Avtandil Sulaberidze. From the year 2015 the program was focused on the transformation of Poland's post-nobility in society based on the results of sociological surveys and seminars.

In December 2014, at the meeting of the Presidium of the National Academy of Sciences the report of Professor Smoczynski confirmed that the Polish has enough experience and this was very interesting matter for the Georgian sociologists. A sociological questionnaire was collaborated by professor Smoczynski and professor Avtandil Sulaberidze, and the survey was conducted by collaborators of the Institute of Demography and Sociology: Nino Gomelauri (head of the group), Natia Shushtakashvili, Mariam Sulaberidze and Nino Kurdadze.

One-year co-operation between Polish and Georgian sociologists, despite the lack of time and financial problems, was very fruitful, which is a precondition for future scientific collaboration. For example, in October 2015, the Polish Academy of Sciences Institute of the results of the survey conducted on the basis of reports submitted to the Georgian and Polish sociologists on the first sociological seminar,

which we provide in two languages (Georgian- English) and you can estimate it.

The Head of the Social Sciences Department
Georgian National Academy of Science,
Academician

Roin Metreveli

Rafal Smoczynski

Tomasz Zarycki

The possible application of research findings on Polish post-noble milieu for studying contemporary Georgian nobility

Introduction

This paper is meant to discuss the possible application of the insights of the ongoing research on Polish post-noble milieu for studying contemporary descendants of Georgian nobility. It comprises of three sections. Firstly, it discusses briefly sociological state of the arts on contemporary European nobility. Secondly, it reviews major findings of the ongoing research on Polish post-noble milieu. Thirdly, it discusses the interplay between the noble legacy and the intelligentsia strata in Poland. Fourthly, it considers the relevance of these findings for the similar project to be launched in Georgia.

State of the arts

There has been small but growing literature based on empirical research which demonstrates that European post-noble milieu (e.g., in countries as Germany, the Netherlands, France, Poland, Finland, Austria, but also in non-European countries as in Japan) has not stepped out of the historical scene but instead has retained certain social weight (Dronkers 2003; Dronkers, Schijf 2003; Korom, Dronkers 2009; Saint Martin 2003). Clearly, today nobility is different from the feudal period and its pre-modern social arrangements, however, the modern meritocratic society has not dissolved several social and familial practices that constitute the core of the noble social coherence. Even though in some European regions including certain post-communist countries, this milieu was deprived its material properties, this nonetheless has not constrained them from re-creating their specific identity. The research on modern noble and aristocratic communities,

